MES 6 20 0001149248

02/12/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 17.11.2020
სხდომის დაწყების დრო: 16:32 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:00 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
8. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მენეჯმენტის მიმართულებით

9. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
10. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
11. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
12. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხალმძღვანელი,პროფესორი;
13. **გაიანე სიმონია** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
14. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
15. **რომეო გალდავა** - სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,ასოციირებული პროფესორი;
16. **ირმაწერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ქეთევან თელია	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები

N	**სახელი, გვარი**	**საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება**	**სტატუსი**	**საკითხი**
1	მაკა ბერიძე	სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის რექტორი	I
2	ნინო მილაშვილი	სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
3	მერაბ ბერიძე	სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I
4	ნესტან სულავა		პროფესორი	I

		სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი		
5	გიორგი გვალია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი	I I
6	მაკა ლაშხია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I I
7	ნინო მახაშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	I I
8	თამარ გეთიაშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	I I
9	ნინო ჟვანია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I I
10	გიგა ღავთაძე	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ	ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით	I I I
11	პაატა შურღაია	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ	ფინანსების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	I I I
12	ნონა ზუმბაძე	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ	ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღანელი	I I I
13	მაკა კუჭავა	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ	საეთაშორისო ურთიერთობის სამსახურის უფროსი	I I I

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ნინო პოპიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ირინა ლობჟანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	მაკა ელბაქიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ნანი მანველიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ლილი ხეჩუაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	დავით ზურაბაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ლანა ბოკუჩავა	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ვასილ კიკუტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:32 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქიკური ჯანმრთელობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის გახილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის-"ქართული ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქიკური ჯანმრთელობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის გახილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ფილოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4		-

	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქართული ფილოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	40 (სასწავლო კომპონენტი)
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0800, ქ. ახალციხე, რუსთაველის ქუჩა N113, უნივერსიტეტის I - ლი კორპუსი.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო პოპიაშვილმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტი შედგა დისტანციურ რეჟიმში, მიუხედავად ამისა დაწესებულებამ ყველანაირი შესაძლებლობა მისცა ექსპერტთა ჯგუფს, რომ ემუშავათ დღისწესრიგის მიხედვით. ყველა შეხვედრა შედგა და ასევე, დამატებითი მასალები დროულად იქნა გაგზავნილი. ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ირინა ლობჟანიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), მაკა ელბაქიძე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ნანი მანველიშვილი (სტუდენტი-ექსპერტი), ნინო პოპიაშვილი (ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე). ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამა ნამდილად შეესაბამება უნივერსიტეტის მიზნებსა და ამოცანებს, ასევე ხაზი გაუსვა სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის არსებობის დიდ მნიშვნელობას საქართველოსათვის. ექსპერტთა ჯგუფს, პროგრამასთან დაკავშირებით ჰქონდა გარკვეული შენიშვნები, რეკომენდაციები და რჩევები, მათ შორისაა:

- მოხდეს შრომითი ბაზრის საგულდაგულო კვლევა ფილოლოგიის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პროგრამის პოტენციურ კურსდამთავრებულთა რეგიონის საჭიროებიდან გამომდინარე.
- მოხდეს პროგრამის კურსებით ისედაც გათვალისწინებული "პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის" ელემენტის სილაბუსებში ასახვა.
- მოხდეს პროგრამის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისობაში მოყვანა პროგრამის მიღების წინაპირობასთან;
- მოხდეს მიღების წინაპირობის შეზღუდვა ქვედარგის შესაბამისი ან მომიჯნავე სპეციალობების დარგობრივი საბაზისო ცოდნის აუცილებლობიდან გამომდინარე;
- მოხდეს სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის პროცედურული დანიშვნის სქემის შემუშავება დოქტორანტობის კანდიდატისათვის.
- მოხდეს პროგრამის კურიკულუმიდან ინფორმაციის ამოღება იმ საბიბლიოთეკო ბაზების შესახებ, რომლებიც არანაირ კავშირშია პროგრამასთან (მაგ. New England Journal of Medicine (http://www.nejm.org/, IMechE Journals (https://us.sagepub.com/en-us/nam/IMeche) დაა.შ.);
- განისაზღვროს რუსული ენის სტატუსი პროგრამისა და/ან სილაბუსების წინაპირობის დონეზე ან მოხდეს სილაბუსებიდან იმ ლიტერატურის ამოღება, რომლის წაკითხვას სტუდენტები ენის არ ცოდნის გამო ვერ მოახერხებენ;
- ხარისხის დაბალანსების მიზნით მოხდეს პროგრამაში ჩართული ქვედარგების გათანაბრება „ქართული ლიტერატურისა“ და„ქართული ენის“ ქვემოდულების სახით;
- მოხდეს პროგრამის მიზნების მისაღწევად საჭირო ინოვაციური მეთოდოლოგიის ასახვა პროგრამის სილაბუსებში;
- მიზანშეწონილია განისაზღვროს დოქტორანტის სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის სტატუსები სადისერტაციო ნაშრომის დაგეგმვისა და ნაშრომზე მუშაობის შესაბამისად;
- რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე მოხდეს ლინგვისტურ კვლევით მეთოდოლოგიაზე ორიენტირებული კურს(ებ)ის შემოღება, რომელიც მოიცავს ენის დოკუმენტირების, საველეპრაქტიკის განხორციელების, მოგროვილი მონაცემების დამუშავებისა და ლინგვისტური ანოტირების მეთოდოლოგიურ ჩარჩოს.
- მოხდეს სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის ბლოკში მითითებული ლიტერატურის სასწავლო კურსის შინაარსისა და კალენდარული გეგმის ლიტერატურის შესაბამისი გვერდების ველში ასახვა ან მოხდეს კურსისთვის შეუსაბამო ლიტერატურის სავალდებულო ლიტერატურის ბლოკიდან ამოღება;
- მოხდეს საგნის „სიკვდილ-სიცოცხლის არსის მხატვრული გააზრება ქართულ მწერლობაში“ გაუქმება, რათა არ მოხდეს საგნებს შორის თემატური და შინაარსობრივი გადაფარვა;
- მოხდეს დუბლირებული თემატიკების ამოღება ან კონკრეტული საგნის გაუქმება.

- დაზუსტდეს დოქტორანტის ხვედრითი წილი ხელმძღვანელთან/სხვა თანაავტორთან გამოქვეყნებული ნაშრომის ან კონფერენციაზე წარდგენილი სტატიის შემთხვევაში;
- მოხდეს პროგრამაში ჩართული პროფესორების წახალისება ფილოლოგიის მიმართულებით როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა კვლევით პროექტებში მონაწილების თვალსაზრისით;
- პროგრამაში ჩართულ პროფესორებსა და დოქტორანტებს დროულად მიეწოდოს ინფორმაცია თუ რა პრინციპით უნდა ხდებოდეს ჟურნალის მახასიათებლების(h-index, CiteScore დაა.შ.) შემოწმება და განსაზღვრა;
- მოხდეს დარგში არსებული რეფერირებადი ჟურნალების სიის შემუშავება მათ შორის საერთაშორისო ბაზებში(SCOPUS, EBSCO დაა.შ.) შესული ჟურნალებისა ქართული ფილოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე.
- მოხდეს საველე პრაქტიკის დროს მოპოვებული მასალის დამუშავება დარგში არსებული კომპიუტერული უზრუნველყოფისა და მეთოდოლოგიური ჩარჩოს გათვალისწინებით.
- მოხდეს სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურის უფრო მკაფიოდ განსაზღვრა და გაფორმების წესის შემოღება აკადემიური საზოგადოების მიერ მსოფლიოში აღიარებული სტილის(APA, Chicago, GOST, Harvard დაა.შ.) შესაბამისად;
- მოხდეს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირების კრიტერიუმის შემუშავება კონკრეტული პარამეტრების მითითების გზით;
- სადისერტაციო საბჭოს დებულების 12,2 პუნქტში მითითებულა, ბ, გ და დ მუხლებს შეემატოს სტატიის გამოქვეყნება საერთაშორისო ნუსხებში შესულ რეფერირებად თემატურ ჟურნალში/ჟურნალებში.
- პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს მიეწოდოს დაზუსტებული ინფორმაცია მაღალრეიტინგული, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების შესახებ, განსაკუთრებით, იმ დარგობრივი გამოცემების შესახებ, რომლებიც აღნიშნულ სამეცნიერო ბაზებშია გაწევრიანებული;
- პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს მიეწოდოს დაზუსტებული ინფორმაცია მაღალ რეიტინგულ სამეცნიერო ბაზებში პუბლიკაციის წესის, ნაშრომის აგებულების, ციტირების წესისა და სხვა საკითხების შესახებ.
- მოხდეს შიდა ხარისხის შეფასებების მიხედვით გამოვლენილი საჭიროებების ასახვა უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევით პროცესებში;
- მიზანშეწონილია ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს მიზნობრივად, საზღვარგარეთ არსებულ ქართველოლოგიურ/კავკასიოლოგიურ კვლევითცენტრებში;
- მოხდეს გარეშე ფასების დროს შეფასებითი და სარეკომენდაციო საკითხების სავალდებულო კომპონენტად შეტანა.

ექპერტმა ასევე მიუთითა, რომ პროგრამაზე შესული აპლიკანტი არ შეიზღუდებოდა დარგების მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ ჩამოთვლილი რეკომენდაციები დაწესებულებისათვის იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი და საგულისხმო, რომელთა გათვალისწინებასა და შესრულებასაც ისინი ისედაც გეგმავდნენ. დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის საჭიროებასა და აუცილებლობაზე უნივერსიტეტის ფუნქციონირების შეუფერხებლად გაგრძლებისათვის. შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან და პროგარაზე მომართვიანობიდან გამომდინარე აუცილებელია აღნიშნული პროგრამის არსებობა, იმ ტერიტორიულ ერთეულში, სადაც სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი მდებარეობს. საგანმანათლბლო დაწესებულეიბის წარმომადგენლის აზრით, სამცხე-ჯავახეთის

უნივერსიტეტი წარმოადგენს კვლევის ცოცხალ ლაბორატორიას. ასევე, უნივერსიტეტის ფუნქციონირების არეალი თავად ლინგვისტური და ლიტერატურული თვალსაზრისით არის მნიშვნელოვნად შესასწავლი. მან ხაზი გაუსვა უნივერსიტეტის მისიას, სადაც ცალსახადაა ჩაწერილი კონტაქტები მეზობელ ქვეყნებთან, რადგანაც ახალქალაქი არის 90 კმ-ით დაშორებული ახალციხიდან, ასევე ყარსის უნივერსიტეტი, სადაც 16 წელია არსებობს ქართველოლოგიის მიმართულება. ამ პროგრამის ფუნქციონირებას კი ხელს შეუწყობენ, ის სტუდენტები, რომლებიც მომზადდებიან სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის წარმომადგენლის მითითებით, იგი პირადად იმყოფებოდა ფერიქოის უნივერსიტეტში, საიდანაც ჩამოიტანა 800 ფირი სამცხე-ჯავახეთიდან წასულ მოღვაწეთა ნახელავთან დაკავშირებით. ეს ფირები, სადაც გადატანილია სამცხე-ჯავახეთის ისტორია ელოდება მკვლევრებს, შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანი საკვლევი თემატიკა არსებობს სადოქტორო პროგრამის განვითარებისათვის. უნივერსიტეტში საჭიროა კვლევითი საქმიანობის მომწიფება. დაწესებულების წარმომადგენლის მითითებით, ბატონი მერაბ ბერიძისა და ქალბატონი ნესტან სულავას არსებობა უნივერსიტეტს აძლევს შანსს სამხრეთ საქართველოში სამეცნიერო კვლევითი სკოლის შექმნისა, რომელიც დაეფუძნება აღნიშულ სადოქტორო პროგრამას.

წინაპირობასთან დაკავშირებულ საკითხზე კომენტარი დაწესებულების წარმომადგენელმა დაიწყო იმაზე თანხმობით, რომ უნივერსიტეტი მზადაა მომიჯნავე დარგებით შემოფარგლოს პროგრამა. რადგანაც უნივერსიტეტს ჯერ არ ჰყავს მიღებული დოქტორანტები, პროგრამის წინაპირობების დაკონკრეტება მათთვის მარტივი შესასრულებელი იქნება. დაწესეუბულების წარმომადგენელმა ახსნა, რომ სტუდენტი უპირველეს ყოვლისა აბარებს სასპეციალიზაციო ზეპირ გამოცდას, რომლის თემატიკა დგება სადისერტაციო საბჭოს მიერ. პროგრამის მეორე სავალდებულო მოთხოვნაა კვლევითი პროექტის წარმოდგენა, სადაც აპლიკანტს პრობლემის არსის დახატვა, კვლევის მიზნებისა და ამოცანების, ჰიპოთეზის ჩამოყალიბება უწევს. საგანმანათლებლო დაწესებულების განმარტებით, მაგისტრანტები სწავლობენ რომ არსებობს ფსიქოლინგვისტიკა, ბიოლინგვისტიკა, გამოყენებითი ლინგვისტიკა, კომპიუტერული ლინგვისტიკა, მათემატიკური ლინგვისტიკა, ამავე დროს უნივერსიტეტს აქვს გაცხადებული ლინგვისტიკური კვლევებისკენ პირდაპირი მისია, რომ ინტერდისციპლინური კვლევები წამოადგენს პრიორიტეტს. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ვერ დაინახეს საფრთხე, რომ მათთან „შემთხვევითი დოქტორანტი“ მივიდოდა, ეს იყო მიზეზი პროგრამის წინაპირობების შემოუსაზღვრელობისა.
დაწესებულების წარომადგენლის მხრიდან დაზუსტდა, რომ რუსული ენა, როგორც სილაბუსის წინაპირობა, არის პროგრამაში გათვალისწინებუბლი არჩევითი საგნებიდან ერთადერთ სილაბუსში. მას აწერია, რომ აღნიშნული სილაბუსის არჩევის წინაპირობა არის რუსული ენის B2 დონეზე ფლობა. შესაბამისად, სტუდენტს რუსული ენის ცოდნა სჭირდება მხოლოდ და მხოლოდ ერთი არჩევითი საგნის არჩევისას. რაც შეეხება უახლესი კვლევის მეთოდებს, სტუდენტებს წინასწარ მოეთხოვებათ სავარაუდო კვლევის მეთოდების დაფიქსირება. თანაც, კვლევით განაცხადში დეტალურად მოითხოვება კვლევის მეთოდების არსებობა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ დოქტორანტურის საფეხურზე კვლევის მეთოდებზე არ უნდა გამახვილდეს ყურადღება. ლინგვისტური მიმართულებით სავარაუდოდ მოიხაზა, თუ რა მიმართულებით შეიძლებოდა წასულიყო ლინგვისტიკაში კვლევები. პირველი გახლდათ გრამატიკული მიმართულება და კვლევის უახლესი ტექნოლოგიები, აქ კი ჩაისვა სილაბუსი კორპუს ლინგვისტიკა და ინტერდისციპლინური კვლევები. მეორე მიმართულება, ეს არის ონომასტიკა, ხოლო ონომასტუკური კვლევების სილაბუსი აირჩევა თავისი კვლევის მეთოდოლოგიით. შემდეგია ენის ნაირსახეობათა კვლევა, რომელიც მოიცავს იმ კვლევის მეთოდოლოგიას, რაც სჭირდება დოქტორანტს. წარმომადგენლის განმარტებით, ყველა სილაბუსი, რომელიც არის ლინგვისტური მიმართულებით ამოწურავს ერთიანობაში იმ არეალს, რომელიც შეთავაზებულია დოქტორანტისათვის. ამასთანავე, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით სტუდენტის ცოდნის მდგრადობისათვის, საჭიოა ლაბორატორიის გაუმჯობესება.

სილაბუსების წერისას ორი მთავარი მიდგომა გამოიკვეთა, რადგანაც თითოეული სილაბუსის თემა ცალკე საკვლევი თემა აღმოჩნდა, საგანმანათლებლო პროგრამის წარმომადგენლებს სურდათ, რომ იმ კონკრეტულ სფეროში დარგის კვლევის პერსპექტივა ეჩვენებინათ.
ექსპერტთა ჯგუფს დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა და მიუთითა, რომ ექსპერტები ცდილობენ პროგრამის სრულყოფას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნინო დობორჯგინიძემ, გამოთქვა სურვილი, რომ მოცემულ სადოქტორო პროგრამაზე საკუთარი მოსაზრება დაეფიქსირებინა. იგი დაეთანხმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში აღნიშნული მიართულების არსებობის აუცილებლობაზე. საბჭოს წევრი ასევე დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფს, რომ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ასეთ სტრატეგიულ ადგილას პროგრამა იყოს გამართული. ნინო დობორჯგინიძემ განმახორციელებელი პროფესორების კომპეტენციასაც გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ ისინი თავისი დარგის მნიშვნელოვანი ფიგურები არიან. თუმცა, მიუხედავად ამისა საბჭოს წევრის მოსაზრებით, ისე არ შეიძლება სტუდენტმა დოქტურანტურა დაამთავროს, რომ არ მოსინჯოს სტუქტურალიზმი ანდაც ნებისმიერი სხვა კვლევის მეთოდი, რომელიც გუისხმობს ლინგვისტიკის ეპისტემოლოგიურ ცოდნას. მთავარი, რაც შეიძლება ისწავლებოდეს დოქტურანტურის საფეხურზე არის ის, თუ რა ხდება დღეს კვლევის მეთოდებში. ასევე, საბჭოს წევრს გაუჩნდა კითხვა ყოველგვარი წინაპირობების არსებობის გარეშე მოხდებოდა თუ არა დოქტურანტურის საფეხურზე სტუდენტთა შერჩევა. ასეთ შემთხვევაში მთელი დარგობრივი ცოდნის მიცემის საჭიროება ხდება სადოქტორო საფეხურზე, რაც მოცემულ პროგრამაზე უზრუნველყოფილი არ არის. მისი მოსაზრებით რაღაც ტიპის წინაპირობების არსებობა აუცილებელია.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტს აქვს ქართველური ენათმეცნიერების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა. ხოლო, ამ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ისწავლება კვლევის მეთოდები ლინგვისტიკაში. ამასთანავე, სტუდენტობის მსურველს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს ლინგვისტიკა ან ლიტერატურათმცოდნეობა. დაწესებულების წარმომადგენლის მითითებით, პროგრამაზე მისაღები გამოცდების თემატიკაშია ყურადღება გამახვილებული ყველა საკვანძო მიმართულების ცოდნაზე. გარდა ამისა, ამ დრომდე არ გამოუთქვამს სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების სურვილი ისეთ აპლიკანტს, რომელიც სრულიად განსხვავებული სფეროდან მოდიოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტის მხრიდან იქნება ჩასმული შეზღუდვა წინაპირობებთან დაკავშირებით. ასევე, კანადის უნივერსიტეტიდან გარე შეფასების ფარგლებში, დისერტაციის დაცვამდე გამოცდის ჩასმის რჩევა მიიღო სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტმა. წარმომადგენლის მითითებით, მათ ეს ზუსტად ვერ ასახეს, თუმცა გამოცდის ნაცვლად, ჩაისვა წინასწარი დაცვა.

საბჭოს წევრის, ნიკა თიკანაშვილის მოსაზრებით სამხრეთ საქართველოში ამ მიმართულების განვითარება საკმაოდ მნიშვნელოვანია. მან რამდენიმე რეკომენდაციაზე გაამახვილა ყურადღება, მესამე და მეოთხე სტანდარტი საბჭოს წევრის მითითებით სრულ შესაბამისობაშია, ესენია ადამიანნური რესურსები, ლიტერატურა, რომელიც გამოიყენება სწავლების პროცესში. საბჭოს წევრები ხშირად ამახვილებენ ყურადღებას, რომ სასწავლო კომპონენტი ისწავლებოდეს კვლევით სტატიებზე დაყრდნობით. საბჭოს წევრს გაუჩნდა კითხვები მეხუთე და მეორე სტანდარტებთან მიმართებით. დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა არაერთი მემორანდუმი და ხელშეკრულება პარტნიორ უნივერსიტეტებთან, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ბოლო ორი რეკომენდაცია, თავისი შინაარსით ავალდებულებს გარე შეფასების ჩატარებასა და ამ შეფასების დროს მიღებული სარეკომენდაციო ხასათის

საკითხების პროგრამაში კონკრეტულ კომპონენტად შეტანას. ის დაინტერესდა, რამდენად შეიძლებოდა დავალდებულება გარე შეფასების უზრუნველყოფის. ასევე, ერთ-ერთი რეკომენდაცია შეეხებოდა დოქტორანტისა და ხელმძღვანელის სტატუსებს, ხოლო საბჭოს წევრს სურს მოისმინოს განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ რა იგულისხმება აღნიშნულ სტატუსებში. გარდა ამისა, მას გაუჩნდა კითხვა რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც მითითებულია სტატიის გამოქვეყნების დროს დოქტორანტების ხვედრითი წილი ხელმძღვანელებთან მიმართებით, ასევე დუბლირებულ თემატიკებზე საუბრისას დაკონკრეტებული არიყო საკითხები სასწავლო კურსებთან მიმართებით, თუ ზუსტად რომელი თემატიკის დუბლირება ხდება.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა დაიწყო საბჭოს წევრის მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა. მან დააკონკრეტა პოზიცია, რომ ექპერტებს დარჩათ შთაბეჭდილება პროგრამებიდან, მემორანდულებიდან, გარე შეფასებიდან გამომდინარე, რომ პროგრამის გარე შეფასება სრული შინაარსის დაცვით სამწუხაროდ არ მომხდარა. იმდენად რამდენადაც პროგრამა ახალია, სასურველია რომ საზღვარგარეთ არსებული, კონკრეტულად ევროპული ან დასავლური სამეცნიერო კვლევითი ცენტრებიდან პროგრამას ჰქონდეს გარე შეფასება, რომელსაც ასევე ექნება სხვადასხვა ისეთი პუნქტები, რომლებიც პროგრამისათვის იქნება სასარგებლო, გაუმჯობესების თვალსაზრისით, თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით და ასე შემდეგ. ექსპერტის განმარტებით მისასალმებელია, რომ პროგრამის განმახირციელებლები ასე კარგად თანამშრომლობენ რეგიონის უნივერსიტეტებთან, მეზობელი ქვეყნების უნივერსიტეტებთან, რაც ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის აზრით, სადოქტორო პროგრამას კიდევ უფრო მეტი და მაღალი სტანდარტი უნდა ჰქონდეს, აქედან გამომდინარე იყო ნაკარნახევი ექსპერტთა რეკომენდაციები. შემდეგ მან ისაუბრა დუბლირებასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა რეკომენდაციაში მოხსენებულია „სიკვდილ-სიცოცხლის“ კურსი, იგი იმეორებს და გარკვეულწილად ფარავს სხვა სასწავლო კურსებს, ამიტომაც მიზანშეწონილია ეს კურსი ამოღებული იყოს. ხოლო სტატუსებთან დაკავშირებული საკითხი ექსპერტის განმარტებით არის საკმაოდ მნიშვნელოვანი. პროგრამის შესწავლიდან გამომდინარე, დოქტორანტობის კანდიდატს თავიდანვე არ ჰყავს სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი. ის ჯერ აბარებს და შემდგომ ენიშნება მას ხელმძღვანელი, შესაბამისად ისე შემოდის პროგრამაზე თავისი კვლევითი პროექტით და შესაბამისად ხელმძღვანელთან არ გადის კონსულტაციებს, არ არის სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის სტატუსი დაკონკრეტებული. შემდგომ თუ კი აპლიკანტი ჩააბარებს პროგრამაზე, იწყება მისი ურთიერთობა სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელთან და ეს საკითხები ექსპერტთა ჯგუფის აზრით, არის დასარეგულირებელი დაწესებულების მხრიდან. დამატებით, რეკომენდაცია რომ მოხსენებული იყოს ერთობლივი სტატიის შემთხვევაში ხვედრით წილები, აგრეთვე მნიშვნელოვანია. იქიდან გამომდინარე, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში სადოქტორო სამეცნიერო ნაშრომი ინდივიდუალური არის იმ გაგებით, რომ ეს არის ინდივიდუალური კვლევა, რის შემდეგაც ენიჭება დოქტორანტს საკვალიფიკაციო ხარისხი. შესაბამისად, თუ ის აქვეყნებს თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან ანდაც ჯგუფთან ერთად ნაშრომს, იქ უნდა განისაზღვროს რა არის მისი ხვედრითი წილი, მისი ნაშრომი კონკრეტულად რომელია, რადგან ეს ნაშრომი შემდგომ დისერტაციის ნაწილადაც უნდა იქცეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა გამოთქვა სურვილი, დამატებით კომენტარი გაეკეთებინა გამოყოფილ საკითხებზე. მან ახსნა როგორ ხდება დებულების მიხედვით სტუდენტისა და სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის კომუნიკაცია. მისი აზრით, ვიდრე დაინტერესებულ პირს აქვს კონკურსანტის სტატუსი, სავარაუდო ხელმძღვანელი მას ვერ დაენიშნება. იმ მიზეზის გამო, რომ კონკურსანტს შემოაქვს განაცხადი ვალდებული არაა რასაც წინასწარ გაივლის პროგრამის ხელმძღვანელთან ან რაც შეირჩევა, ის თემა დაამუშავოს. კონკურსანტი

თავისი კვლევის განაცხადის დროს თავისუფალია. მას შემდეგ რაც კონკურსანტი გაივლის საჭირო ეტაპებს და გახდება სტუდენტი, მიღების დოკუმენტებში სავარაუდო ელმძღვანელის თანხმობაა მოცემული. ასე მიდის დოკუმენტაცია სადისერტაციო საბჭომდე, რომელიც განსაზღვრავს ორი თვის ვადას, იმისათვის რომ დაიწეროს ინდივიდუალური გეგმა. ინდივიდუალური გეგმის ერთად შემუშავების პროცესში, როდესაც კონკურსანტი უკვე ხდება სტუდენტი, ირჩევა სამეცნიერო ხელმძღვანელიც. დაწესებულების წარმომადგენლის მითითებით, თუ კი არსებობს გზა იმისა, რომ ვიდრე კონკურსანტს სტუდენტის სტატუსი მიენიჭება, მოხდეს ხელმძღვანლის არჩევა, იგი მზად იქნება აღნიშნული გამოცდილების გაზიარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარის მითითებით, სამართლებრივი კავშირი კონკურსანტსა და უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს შორის, მანამ სანამ კონკურსანტი სტუდენტის სტატუსს არ მიიღებს, არ არსებობს. თუმცა, შესაძლებელია წინარე სარეგულაციო პირობების შექმნა, როგორც საზღვარგარეთ არსებულ უნივერსიტეტებშია მიღებული. საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, ეს ძირითადად ხორციელდება უშუალოდ ყოფილი მოწაფისა და მასწავლებლის კავშირ-ურთიერთობის საფუძველზე, უნივერსიტეტის იურიდიული სფეროს მიღმა.
ექსპერტის, ირინა ლობჟანიძის თქმით, პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მიღების დოკუმენტებში სადოქტორო კვლევით განაცხადს ხელს აწერს სავარაუდო ხელმძღვანელი. შემდეგ არცერთ სხვა დებულებაში, სხვა დოკუმენტში, რომელიც იყო წარმოდგენილი თვითონ სავარაუდო ხელმძღვანელის ტერმინი არ ფიგურირებს, თითქოს არ არსებულა. გასარკვევია, სამართლებრივი საფუძველი უნდა ჰქონდეს თუ არა პიროვნებას, რომელიც აწერს ხელს ოფიციალურ დოკუმენტს.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტი ირინა ლობჟანიძის დასმულ შეკითვას უპასუხა და მიუთითა, რომ დოქტორანტის ინდივიდუალურ გეგმაში ფიგურირებს სავარაუდო ხელმძღვანელი. თუმცა, სტუდენტის მიღებამდე არსებულ დოკუმენტებში არა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:32
დასრულების დრო: 17:41

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, თუმცა ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებში შეიტანა გარკვეული ცვლილებები, კერძოდ, საბჭომ ამოიღო რამდენიმე რეკომენდაცია.

საბოლოოდ კი დაწესებულების მიერ შესასრულებელი რეკომენდაციები გამოიყურება შემდეგნაირად:

- მოხდეს შრომითი ბაზრის საგულდაგულო კვლევა ფილოლოგიის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პროგრამის პოტენციურ კურსდამთავრებულთა რეგიონის საჭიროებიდან გამომდინარე;
- მოხდეს პროგრამის კურსებით ისედაც გათვალისწინებული "პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის" ელემენტის სილაბუსებში ასახვა.
- მოხდეს პროგრამის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისობაში მოყვანა პროგრამის მიღების წინაპირობასთან;
- მოხდეს მიღების წინაპირობის შეზღუდვა ქვედარგის შესაბამისი ან მომიჯნავე სპეციალობების დარგობრივი საბაზისო ცოდნის აუცილებლობიდან გამომდინარე;
- მოხდეს სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის პროცედურული დანიშვნის სქემის შემუშავება დოქტორანტობის კანდიდატისათვის.
- მოხდეს პროგრამის კურიკულუმიდან ინფორმაციის ამოღება იმ საბიბლიოთეკო ბაზების შესახებ, რომლებიც არანაირ კავშირშია პროგრამასთან (მაგ. New England Journal of Medicine (http://www.nejm.org/, IMechE Journals (https://us.sagepub.com/en-us/nam/IMeche) დაა.შ.);
- განისაზღვროს რუსული ენის სტატუსი პროგრამისა და/ან სილაბუსების წინაპირობის დონეზე ან მოხდეს სილაბუსებიდან იმ ლიტერატურის ამოღება, რომლის წაკითხვას სტუდენტები ენის არ ცოდნის გამო ვერ მოახერხებენ;
- ხარისხის დაბალანსების მიზნით მოხდეს პროგრამაში ჩართული ქვედარგების გათანაბრება „ქართული ლიტერატურისა“ და „ქართული ენის“ ქვემოდულების სახით;
- მოხდეს პროგრამის მიზნების მისაღწევად საჭირო ინოვაციური მეთოდოლოგიის ასახვა პროგრამის სილაბუსებში;
- რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე მოხდეს ლინგვისტურ კვლევით მეთოდოლოგიაზე ორიენტირებული კურს(ებ)ის შემოღება, რომელიც მოიცავს ენის დოკუმენტირების, საველეპრაქტიკის განხორციელების, მოგროვილი მონაცემების დამუშავებისა და ლინგვისტური ანოტირების მეთოდოლოგიურ ჩარჩოს.
- მოხდეს სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის ბლოკში მითითებული ლიტერატურის სასწავლო კურსის შინაარსისა და კალენდარული გეგმის ლიტერატურის შესაბამისი გვერდების ველში ასახვა ან მოხდეს კურსისთვის შეუსაბამო ლიტერატურის სავალდებულო ლიტერატურის ბლოკიდან ამოღება;
- მოხდეს საგნის „სიკვდილ-სიცოცხლის არსის მხატვრული გააზრება ქართულ მწერლობაში“ გაუქმება, რათა არ მოხდეს საგნებს შორის თემატური და შინაარსობრივი გადაფარვა;
- მოხდეს დუბლირებული თემატიკების ამოღება ან კონკრეტული საგნის გაუქმება.
- დაზუსტდეს დოქტორანტის ხვედრითი წილი ხელმძღვანელთან/სხვა თანაავტორთან გამოქვეყნებული ნაშრომის ან კონფერენციაზე წარდგენილი სტატიის შემთხვევაში;
- მოხდეს პროგრამაში ჩართული პროფესორების წახალისება ფილოლოგიის მიმართულებით როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა კვლევით პროექტებში მონაწილების თვალსაზრისით;
- პროგრამაში ჩართულ პროფესორებსა და დოქტორანტებს დროულად მიეწოდოს ინფორმაცია თუ რა პრინციპით უნდა ხდებოდეს ჟურნალის მახასიათებლების(h-index, CiteScore დაა.შ.) შემოწმება და განსაზღვრა;
- მოხდეს დარგში არსებული რეფერირებადი ჟურნალების სიის შემუშავება მათ შორის საერთაშორისო ბაზებში(SCOPUS, EBSCO დაა.შ.) შესული ჟურნალებისა ქართული ფილოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე.
- მოხდეს საველე პრაქტიკის დროს მოპოვებული მასალის დამუშავება დარგში არსებული კომპიუტერული უზრუნველყოფისა და მეთოდოლოგიური ჩარჩოს გათვალისწინებით.

- მოხდეს სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურის უფრო მკაფიოდ განსაზღვრა და გაფორმების წესის შემოღება აკადემიური საზოგადოების მიერ მსოფლიოში აღიარებული სტილის(APA, Chicago, GOST, Harvard დაა.შ.) შესაბამისად;
- მოხდეს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირების კრიტერიუმის შემუშავება კონკრეტული პარამეტრების მითითების გზით;
- სადისერტაციო საბჭოს დებულების 12,2 პუნქტში მითითებულა, ბ, გ და დ მუხლებს შეემატოს სტატიის გამოქვეყნება საერთაშორისო ნუსხებში შესულ რეფერირებად თემატურ ჟურნალში/ჟურნალებში.
- პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს მიეწოდოს დაზუსტებული ინფორმაცია მაღალრეიტინგული, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების შესახებ, განსაკუთრებით, იმ დარგობრივი გამოცემების შესახებ, რომლებიც აღნიშნულ სამეცნიერო ბაზებშია გაწევრიანებული;
- პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს მიეწოდოს დაზუსტებული ინფორმაცია მაღალ რეიტინგულ სამეცნიერო ბაზებში პუბლიკაციის წესის, ნაშრომის აგებულების, ციტირების წესისა და სხვა საკითხების შესახებ;
- მოხდეს შიდა ხარისხის შეფასებების მიხედვით გამოვლენილი საჭიროებების ასახვა უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევით პროცესებში;

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-32 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 275-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 276 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

მეორე საკითხი : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქიკური ჯანმრთელობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქიკური ჯანმრთელობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	02.08.2012, N293
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-

6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრი სოციალური ფსიქიატრიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0919 ჯანდაცვა - არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0162, ქ. თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

პაატა ბრეკაშვილი, ნინო დობორჯგინიძე - თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელებსს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვიზიტმა გამართულად ჩაიარა. მისი განმარტებით, ახალი რეკომენდაციები ექსპერტებს არ აქვთ, ხოლო წინა აკრედიტაციის მიმდინარეობისას არსებული რეკომენდაციები, დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია.

მისი თქმით, პროგრამა დახვეწილი და დალაგებულია, აღნიშნული პროგრამა 8 წელია ხორციელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. ექსპერტის აზრით, პროგრამის ხელმძღვანელებმა და განმახორციელებლებმა სერიოზულად გადაამუშავეს იგი წლების განმავლობაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე. აღნიშნული პროგრამა ორი მოდულისგან შედგება, ესენია: საკუთრივ ფსიქიკური ჯანმრთელობა და სოციალური ფსიქიატრია. ექსპერტის განმარტებით ესაა პრაქტიკული უნარჩვევების მქონე სპეციალისტების გამოზრდაზე ორიენტირებული პროგრამა, თავისი თანამშრომლობის მემორანდუმებით სხვადასხვა პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან. ექსპერტმა აღინიშნა ფაქტი, რომ გარდა აკადემიური მოთხოვნების გამართულობისა, ამ პროგრამის გავლის შემდგომ სტუდენტები თავისუფლად იპოვნიან სამსახურს. კურსდამთავრებულები დასაქმდებიან არა დაბალანაზღაურებად, არამედ მაღალანაზღაურებად სამუშაოებზე.
ექსპერტის მითითებით, პროგრამა უნიკალურია, მისი დაშვების წინაპირობებიც საკმაოდ მკაცრია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის შეფასებისათვის. მან აღნიშნა, რომ 2014 წლიდან მოყოლებული პროგრამამ საკმაოდ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. იგი შექმნილია საპასუხოდ იმისა, თუ რა ხდება ქვეყანაში. ადამიანები, რომლებიც ამ პროგრამას ამთავრებენ ხდებიან იმ მულტიდისციპლინარული გუნდის წევრები, რომლებმაც უნდა მართონ შემთხვევა ფსიქიკური პრობლემის მქონე ადამიანებისა. მისი თქმით, ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ თავად გუნდიც მულტიდისციპლინარულია, რადგან წარმოდგენილდნი არიან ფსიქიატრები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, სერვისის მიმღები პირები. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ისინი ზრდიან ადამიანებს, რომლსებსაც აქვთ კვლევის სიყვარული, ცნობისმოყვარეობა, გამართული პრაქტიკა. კონკურსი ყოველ წელსაა, ხოლო სტუდეტების მაქსიმალური რაოდენობაა 15.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ მოსაზრებები და კითხვები აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:52
დასრულების დრო: 17:55

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქიკური ჯანმრთელობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

გადაწყვეტილება:
"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 31 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 275 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 276 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქიკური ჯანმრთელობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მესამე საკითხი : შპს - საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს „ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის გახილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფინანსები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	20.03.2020 გადაწყვეტილება N43
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ფინანსების ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0144, წინანდლის ქუჩა N9
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველ ანგარიშთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და ექსპერტის დასკვნას, საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ეკა ეკალაძე

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტი, ვასილ კიკუტაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან წარმოადგინა ანგარიში საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ფინანსების საბაკალავრო პროგრამაზე. მისი განმარტებით, პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია და ჰქონდა ექვსი თვის ვადა მიცემული რეკომენდაციების შესასრულებლად. ექსპერტის მითითებით, გაცემული 13 რეკომენდაციის უმრავლესობა გათვალისწინებულია, მათ შორის პროგრამის სტრუქტურაში, სილაბუსების ნაწილში, ლიტერატურის ნაწილში, უცხო ენების სწავლების ნაწილში. ექსპერტის განმარტებით, რეკომენდაციათა ნაწილის სრულად შესრულება ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, თუმცა ამ მხრივ უნივერსიტეტის მხრიდან დაწყებულია გარკვეული მუშაობა. საბოლოოდ კი, ცამეტივე რეკომენდაცია მოცემულ ეტაპზე შესრულებულად ჩაითვალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ რეკომენდაციების უმრავლესობა შესრულებულია და არაა არცერთი რეკომენდაცია, რომელსაც დაწესებულება არ ეთანხმება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ მოსაზრებები და კითხვები აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:57
დასრულების დრო: 17:59

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კენჭისყრა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტი სეუს „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს - საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტი სეუ - ს „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს სხდომა დასრულდა 18:00 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა